

პროგრამის აღწერა	
მიმოხილვა	
ფაკულტეტის დასახელება	საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Laws)
სფერო/სპეციალობა	ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი; სამართალი 0421.1.1
სწავლების ციკლი/საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ხელმძღვანელი (პოზიცია, სახელი და გვარი)	სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი - თათია დოლიძე სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი - თამარ მსხვილიძე
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი; 240 ECTS.
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები	პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენა და ლიტერატურის, უცხო ენისა და ისტორია/მათემატიკის წარმატებით ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება.
დასაქმების სფეროები	ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთვრებული შეძლებს იმუშაოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციებში, ნებისმიერ პოზიციაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სპეციალურ მოთოვნას არ წარმოადგენს სახელმწიფო

	<p>სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. კერძოდ, კურსდამთვრებულები შესაძლოა დასაქმდნენ:</p> <ul style="list-style-type: none"> ● სხვადასხვა სამინისტროებში; ● პარლამენტის სტრუქტურულ ერთეულებში; ● ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში; ● საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში; ● სასამართლოებში; ● კერძო კომპანიებში; ● არასამთვრობო ორგანიზაციებში; ● საადვოკატო ბიუროებში; ● საერთაშორისო ორგანიზაციებში და ა.შ.
--	---

<p>პროგრამის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების თარიღი და ოქმის</p>	<p>№8 29.11.2019</p>
--	----------------------

პროგრამის მიზნები და ამოცანები

<p>პროგრამის მიზნები</p>	<ul style="list-style-type: none"> ● კონკურენტუნარიანი იურისტის მომზადება, რომელიც სწრაფად ცვალებად გარემოში შეძლებს ადაპტირებას და პროფესიულ განვითარებას. ● შესაბამისი ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი იურისტის მომზადება, რომელიც მიღებული ცოდნის საფუძელზე შეძლებს სამართლებრივი პრინციპების კრიტიკულად გააზრებასა და პრობლემების გადაჭრას. ● იურისტის მომზადება, რომელიც პროფესული საქმიანობისას მოქმედებს ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში მოწოდებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში.
--------------------------	--

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>სამართალში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვებისას სტუდენტი:</p>
--

I შედეგი: ახდენს სამართლის არსის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემებისა და ქართული სამართლის წყაროების იდენტიფიცირებას. ასევე, სამართლის ნორმათა კლასიფიკაციას, მისი სტრუქტურის იდენტიფიცირებას. აღწერს პროფესიული ქცევის წესებს და იურიდიული პროფესიული მრავალფეროვანი საქმიანობის გზებს, ასევე იაზრებს პროფესიული ქცევის წესების მნიშვნელობას, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას.

II შედეგი: აღწერს და განმარტავს სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებსა და საქართველოში არსებულ მოდელს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურას. ასევე იაზრებს ადამიანის უფლებათა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, აღწერს და განმარტავს აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვის პრინციპებსა და მათი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივ ინსტრუმენტებს.

III შედეგი: აღწერს და განმარტავს საერთაშორისო სამართლის სისტემასა და ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტებსა და მექანიზმებს, იაზრებს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთმიმართებას. აღწერს და განმარტავს სახელმწიფოს როლს, უფლებამოსილებას და ვალდებულებებს, ასევე სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის მექანიზმებს.

IV შედეგი: აღწერს და განმარტავს კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ინსტიტუტებსა და პრინციპებს, იაზრებს სამეწარმეო თავისუფლების მნიშვნელობას, ასევე აღწერს და განმარტავს სამეწარმეო თავისუფლებისა და შრომის უფლების დაცვის შიდა სახელმწიფოებრივ ინსტრუმენტებს, კერძო სამართლის სფეროში სამართალწარმოების პროცედურას.

V შედეგი: აღწერს და განმარტავს სისხლის სამართლის პრინციპებს, დანაშაულის არსს, სასჯელთა სისტემას, იაზრებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ადგილს იურიდიული პასუხისმგებლობის ერთიან სისტემაში, ცალკეული დანაშაულის ნიშნებს, სისხლის სამართალში სამართალწარმოების პროცედურას და მის თავისებურებებს.

უნარი

სამართალში ბაკალავრის ხარისხის მოპოვებისას სტუდენტს შეუძლია:

VI შედეგი: გამოიყენოს სამართლებრივი წერის ტექნიკა, მოამზადოს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტი. გაანალიზოს კონკრეტული სამართლებრივი პრობლემება და ორგანიზება გაუწიოს, მისი გადაჭრისათვის შესაბამისი ნორმატიული ბაზის მოძიებასა და პრობლემისთვის ნორმის მისადაგებას. გააკეთოს მონახაზი სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტისა, მათ შორის შეადგინოს სხვადასხვა სირთულის ხელშეკრულება, საჩივარი, სარჩელი, შუამდგომლობა.

VII შედეგი: მოახდინოს სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირება და ამ პრობლემის გადაჭრისათვის განსაზღვროს საკუთარი თეზისების განვითარება, არჩეული მიდგომის დასაბუთებით.

VIII შედეგი: შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და უცხო ენაზე მოიძიოს ინფორმაცია და გაანალიზოს მოძიებული ინფორმაცია, ასევე, შეუძლია ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით, დააფიქსიროს და დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია, განავითაროს მსჯელობა, გაუწიოს დაინტერესებულ პირებს იურიდიული კონსულტაცია. შეუძლია ეფექტური მუშაობა როგორც ინდივიდუალურად ისე გუნდურად.

IX შედეგი: გაანალიზოს საკანონმდებლო ცვლილებები, უახლესი იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამართალში ბაკალავრის ხარისხის მოპოვებისას სტუდენტი:

X შედეგი: შეუძლია შეაფასოს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები და ამის საფუძველზე დამოუკიდებლად გააგრძელოს პროფესიული განვითარება.

XI შედეგი: აღიარებს და მოქმედებს ეთიკური და პროფესიული ღირებულებების შესაბამისად, კეთილსინდისიერად. აღიარებს იურისტის პროფესიის როლს დემოკრატიული, სამართლებრივი ფასეულობების დამკვიდრებისთვის.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. სტრუქტურულად პროგრამა გაჯერებულია, თეორიული კურსებითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული კომპონენტებით. პროგრამაში ასევე აქცენტირებულია ინგლისური ენა, მათ შორის გათვალისწინებულია დარგობრივი ინგლისური ენის კურსი. პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წერით უნარ-ჩვევებს, შესაბამისად მოიცავს აკადემიური წერის საბაზისო კურსს, სამართლებრივი წერის კურსსა და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტს.

სწავლა-სწავლების მეთოდები

სწავლების მეთოდები:

- ლექცია;
- სემინარი/სამუშაო ჯგუფი;
- პრაქტიკული მეცადინეობა/პრაქტიკუმი;
- კონსულტაცია.

სწავლის მეთოდები:

- წიგნის/სასამართლო გადაწყვეტილების/ნორმატიული მასალის დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება /ინტერპრეტირება;
- ვერბალური პროფესიული მოხსენების მომზადება, კითხვებზე პასუხების მომზადება;
- წერითი დავალებების შესრულება;
- კვლევის თეზისების დამოუკიდებლად, ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად მომზადება;

სწავლა-სწავლებისას გამოსაყენებელი აქტივობები:

- ვერბალური კომუნიკაცია;
- წერითი დავალება;
- ჯგუფური, მათ შორის, მცირე ჯგუფში მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;
- კაზუსის ამოხსნის მეთოდი;
- გონებრივი იერიში;
- როლურის/სიტუაციური თამაშები;

- დემონსტრირების/პრეზენტირების მეთოდი;
- სწავლების ენასა და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე პროფესიული კომუნიკაციის მეთოდები;
- ინფორმაციის მოძიების მეთოდები;
- ინდივიდუალური (დამოუკიდებელი) მუშაობა.

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ/რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას, კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შეფასება

შეფასების ფორმებია - შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) – 60 ქულა;

დასკვნითი შეფასებისათვის გამოიყენება დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების უდიდესი შესაძლებელი ქულაა 100 ქულა, აქედან დასკვნით შეფასებაზე მოდის 40 ქულა, შუალედურ შეფასებაზე - 60 ქულა, რომელსაც შუალედური შეფასების სხვადასხვა კომპონენტზე სპეციფიკის შესაბამისად ანაწილებს სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირი.

დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის შუალედური შეფასებისა და შუალედური გამოცდის ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 25 ქულას.

დასკვნითი გამოცდა სავალდებულო ხასიათისაა და ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 16 ქულას.

შეფასების გრადაცია

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

ამასთანავე, სასწავლო პროცესში გამოიყენება შემდეგი შეფასების მეთოდები:

- ვერბალური პროფესიული მოხსენება, დებატებში/დისკუსიებში/პროფესიულ კამათში მონაწილეობა;
- საჯარო პრეზენტაცია სწავლების ენაზე;
- საჯარო პრეზენტაცია ერთ-ერთ ევროპულ ენაზე;
- კვლევის თეზისები და სხვა წერილობითი პროფესიული დავალებები (პროექტები);
- კაზუსის ამოხსნა;
- შემთხვევის („ქეისის“) განხივლა /ანალიზი;
- სტუდენტის მიერ ნაჩვენები შედეგების კრიტიკული და კონსტრუქციული უკუკავშირი.

პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა

